პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 ივნისი. ოთხშაბათი, 1986 წ.
№ 118 (9209) ფასი 3 კაპ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# კრიტიკული გამოსვლა და შედეგი

გაზეთის კრიტიკული გამოსვლის დანიშნულება ყველას კარგად მოეხსენება. ის, რაც ხელს გვიშლის მუშაობასა და წინსვლაში, პრესის ფურცლებზე მხოლოდ ფაქტებისა და მიზეზების აღსანუსხავად როდი ქვეყნდება. მამხილებელ წერილს მაშინ აქვს ძალა, როცა მასში წამოჭრილი პრობლემა პრაქტიკულად გადაიჭრება, გულგრილობასა და ინერტულობას კი ცოცხალი საქმე ცვლის. სამწუხაროდ, ის ორგანიზაციები თუ ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც ვალდებული არიან გაზეთს უპასუხონ, ზოგჯერ სდუმან. არადა, არსებობს საერთო წესი, რომლის მიხედვითაც რედაქციას 30 დღის განმავლობაში უნდა ეცნობოს კრიტიკული გამოსვლის პასუხად მიღებული ზომების შესახებ. მაშინ კი, როცა ეს ვადა ამოიწურება, იძულებული ვხდებით მოვუხმოთ ჩვენს რუბრიკას — „უკაცრავად, შეგახსენებთ!". რაც მართალია, მართალია, შეხსენების შემდეგ მეტწილად პასუხი აღარ აგვიანებს.

„ლელოს" მკითხველებმა კარგად იციან, რომ გაზეთი აქტიურად ჩაება სპორტული ბაზების, განსაკუთრებით საცხოვრებელ ადგილებში მარტივი ტიპის მოედნების გაშენებისა და არსებულის კეთილმოწყობის საქმეში. მარტო წელს თბილისს და რესპუბლიკის სხვა ქალაქებს უამრავი ახალი მოედანი შეემატა, შესაკეთებელი და კეთილმოსაწყობი შეკეთდა და კეთილმოეწყო. რაც მთავარია, ბევრგან სპორტული ბაზები მაქსიმალურად დაიტვირთა, ამაღლდა მათი ეფექტიანობა.

ამ ფაქტზე ახლა უფრო იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ დროულად და კარგად სწორედ იქ გაკეთდა საქმე, სადაც გაზეთის გამოსვლაზე რეაგირება დაუყოვნებლივ მოხდა, სადაც დაპირებას უმალვე მოჰყვა საქმე. სამაგალითოდ თბილისის პირველი მაისის რაიონის, ქუთაისის, რუსთავის, ზესტაფონის დასახელებაც კმარა. გაზეთის გამოსვლის შემდეგ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ გაშლილი ფრონტით დაიწყო თბილისში „ლოკომოტივის" საცურაო აუზის სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ანდა, აიღეთ თბილისის განათლების სამმართველოს წყალბურთის სპორტული სკოლისა და კუს ტბის კეთილმოწყობის სამუშაოები, სადაც „ლელოს" რედაქციას საკორესპონდენტო პუნქტი ჰქონდა გახსნილი. ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია.

მაგრამ ყურადღება უნდა გავამახვილოთ ისეთ შემთხვევებზეც, როცა უსაშველოდ ჭიანურდება რედაქციისათვის პასუხის გამოგზავნა და, რაც მთავარია, თვით საქმე არ იძვრის ადგილიდან. ამა წლის 11 მარტს „ლელომ" გამოაქვეყნა წერილი სათაურით „ინერტულობა", სადაც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ საცხოვრებელ ადგილებში მოსახლეობას შორის ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის დონე არადამაკმაყოფილებელია, არ შენდება ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომბინატები, რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სამინისტრო კი ინერტულობას იჩენს. ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ სამ თვეზე მეტი გავიდა, პასუხი კი არ ჩანს. რატომ? იქნებ იმიტომ, რომ გაზეთის გამოსვლის შემდეგ ოპერატიულად მიღებულ გადაწყვეტილებებს საქმე არ მოჰყვა? ნაკლოვანებებსა და გადასაჭრელ პრობლემებს ბოლომდე უნდა მივდიოთ. ამ საკითხში ალტერნატივა არ შეიძლება არსებობდეს. აქვე გვინდა შევახსენოთ დმანისის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და გარდაბნის რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის მესვეურებს, რომ ჩვენს გაზეთში ამა წლის 10 აპრილს გამოქვეყნებულ წერილზე „უმოქმედობა არავის ეპატიება", პასუხი დღემდე არ მიგვიღია. წელს გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილებზე არ გამოუგზავნია პასუხი თბილისის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის („სტუდენტთა სპორტი აბიტურიენტის როლში", 4 იანვარი), თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" („უკუსვლა", 1 თებერვალი), ახმეტის რაიონის მესორცული ქათმის ფაბრიკის („ერთფეროვანი დღიური", 17 მაისი) ხელმძღვანელობას. რა თქმა უნდა, იმათი სია, ვისგანაც პასუხს მოველით, ამით არ მთავრდება.

რედაქციამ გადაწყვიტა ისევ დაუბრუნდეს გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილ ყველა კრიტიკულ წერილს, გაერკვეს ცალკეული ორგანიზაციების დუმილის მიზეზში, შეამოწმოს სრულდება თუ არა დანაპირები. ერთი სიტყვით, ყოველ წერილს ბოლომდე მივყვებით, ვიდრე აღძრული საკითხები პრაქტიკულად არ გადაიჭრება.

აქაც თქვენი თანადგომის იმედი გვაქვს, ძვირფასო მკითხველო!

**IX საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენი ძალოსნები მხოლოდ X ადგილს გვებმავენ. სპორტის ამ სახეობაში ჩამორჩენას მრავალი მიზეზი განაპირობებს.**

იხ. მე-2 გვ.

+1



## საოცნებო საჩუქარი

„ოცნება" ასე ჰქვია ახალ სპორტულ მოედანს, რომელმაც თბილისში აკაკი წერეთლის პროსპექტზე, 87-ე და 89-ე საცხოვრებელ სახლებს შორის დაიდო ბინა. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის სამმართველომ (უფროსი გურამ გალდავა) და პირველი მაისის რაიონის აღმასკომმა (თავმჯდომარე ბორის სიჭინავა) მართლაც საოცნებო საჩუქარი მოუმზადეს ბავშვებს. შესრულდა 70 ათასზე მეტი მანეთის სამშენებლო სამუშაო, თუმცა სპორტული კომპლექსის მშენებლობა ამით არ დამთავრებულა. აქვე მოეწყობა ჩოგბურთის, ფრენბურთისა და ბადმინტონის სათამაშო მოედნები, კომპლექსს შეფობას გაუწევს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის სამმართველო.

• • •

სურათზე: ახალი სპორტული მოედანი „ოცნება".

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



მეგობრობის მერიდიანები

## ბულგარეთი ემზადება



**შორს აღარაა სამგზის მსოფლიო ჩემპიონის მაია ჩიბურდანიძესა და პრეტენდენტ ელენა ახმილოვსკაიას შორის მსოფლიო პირველობის მატჩის სტარტი. იგი 1 სექტემბერს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში შედგება, ხოლო მატჩის პირველი პარტია 2 სექტემბერს გაიმართება.**

ფიდე-ს გადაწყვეტილებით, მატჩის პირველ ნახევარს (8 პარტია) სოფია უმასპინძლებს, მეორე ნახევარს (8 პარტია) 2 ოქტომბრიდან — ბორჯომი.

მოჭადრაკეები კარგა ხანია ემზადებიან ძნელი ბრძოლისთვის. თითოეულს აქვს ყოველმხრივ დამუშავებული გეგმა, რომელსაც გაუნუხრელად ახორციელებს. მეცადინეობაში მათ მწვრთნელები ეხმარებიან: მაია ჩიბურდანიძეს—საერთაშორისო დიდოსტატი გენადი კუზმინი (ირინა ლევიტინასთან შესახვედრადაც მან მოამზადა), ელენა ახმილოვსკაიას — საერთაშორისო ოსტატი იური ანიკაევი. რა თქმა უნდა, მზადება ჯერ არ დამთავრებულა. ამჟამად მაია ჩიბურდანიძე მეცადინეობას ქობულეთში აგრძელებს, ელენა ახმილოვსკაია — ბიჭვინთაში.

დიდი ფაციფუცი აქვთ მატჩის ორგანიზატორებს. ბულგარეთში სიხარულით შეხვდნენ ცნობას მატჩის სოფიაში დანიშვნის შესახებ, არც არის გასაკვირი. ეს ხომ უპრეცედენტო მოვლენაა ქვეყნის ჭადრაკის ისტორიაში. ბულგარეთში ჭადრაკს დიდ პატივს სცემენ. ჰყავთ ნიჭიერი დიდოსტატები და ოსტატები. მათი გუნდი მუდამ (და არცთუ წარუმატებლად) მონაწილეობს საჭადრაკო ოლიმპიადებში, მოჭადრაკეები — საერთაშორისო ტურნირებში.

ბულგარელ და ქართველ მოჭადრაკეებს დიდი ხნის მეგობრულ-სპორტული ურთიერთობა აქვთ. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ბუხუტი გურგენიძის დებიუტი საერთაშორისო ტურნირში 1959 წელს სოფიაში შედგა (I-III ადგილები გაიყო). 60-იან წლებში კი, დიდოსტატმა ივან რადულოვმა, ოსტატებმა ვენკა ასენოვამ და ნიკოლაი რადულოვმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოში გამართულ საერთაშორისო ტურნირებში, 70-80-იან წლებში კიდევ უფრო გახშირდა მისვლა-მოსვლა. ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ელიზბარ უბილავა, ზურაბ აზმაიფარაშვილი და სხვები მეგობარი ქვეყნის ტურნირებში მონაწილეობენ. ორიოდე დღის წინ კი ნინო გურიელმა პლოვდივის საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა. საქართველოში გამოცდილების გასაზიარებლად ჩამოდიან ბულგარეთის ჭადრაკის მესვეურნი, ახალგაზრდა მზარდი მოჭადრაკეები. მაგალითად, შარშან თბილისში იყო ვერა პეიჩევა, რომელმაც ვილნიუსში გოგონათა მსოფლიო პირველობაში ქეთევან არახამიასთან მეოთხე-მეხუთე ადგილები გაიყო.

ამიტომ არავის უკვირს ის, რომ მაია ჩიბურდანიძემ და ელენა ახმილოვსკაიამ სწორედ ბულგარეთს „გაუყვეს" თავიანთი მატჩი. მართალია, ორივე საბჭოთა კავშირის, კერძოდ საქართველოს წარმომადგენელია, მაგრამ მატჩი ხომ მსოფლიოს ეკუთვნის. ფიდე-ს არასოდეს უთქვამს უარი მეტოქეთათვის მატჩი შინ ეთამაშათ, მაგრამ სხვა ქვეყნებსაც სურთ ამა ქვეყნის ძლიერთა შეხვედრაზე „დასწრება". კასპაროვ-კარპოვის მატჩის პირველი ნახევარიც ლონდონში უნდა ჩატარდეს. დიდოსტატმა ქალებმა თავად ამოირჩიეს მასპინძელი. ასეთ არჩევანს მადლიერების გრძნობით შეხვდნენ ბულგარელები.

ბულგარეთის სპორტკომიტეტმა და ჭადრაკის ფედერაციამ შექმნეს მატჩის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგა მუშაობას. მათ უკვე შეარჩიეს დიდი დარბაზი სოფიის ცენტრში, სასტუმროც, სადაც მონაწილენი დაბინავდებიან, დაამტკიცეს სეკუნდანტები და მატჩის მსაჯთა კოლეგია, მზად არიან ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ მნიშვნელოვანი მატჩი უმაღლეს დონეზე ჩატარდეს.

სამზადისს შეუდგნენ მატჩისთვის კურორტ ბორჯომის მესვეურნიც.

**თენგიზ გიორგაძე.**

## XIII მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

**16. VI. გვადალახარა. ბრაზილია—პოლონეთი 4:0**

**16. VI. პუებლა. არგენტინა—ურუგვაი 1:0**

დღეს მერვედფინალში თამაშობენ:

**ინგლისი — პარაგვაი** ⚽ **დანია — ესპანეთი**

MEXICO 86



ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ლელოს“ მრგვალი მაგიდა

# მძიმე შტანგა



**კარგა ხანია საქართველოს ძალოსნებს არაფრით გაუხარებიათ გულშემატკივრები. როგორც ჩანს, მოძველდა ის მეთოდები, რომლითაც სპორტის ამ სახეობის მესვეურები და მწვრთნელები მუშაობენ. ამიტომაც, სავალალო მდგომარეობაში აღმოვჩნდით სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის წინ. დღეს ჩვენ ვრცელი საუბარი გვექნება ჩამორჩენის მიზეზებზე.**

**რედაქციაში სწორედ ის ადამიანები მოვიწვიეთ, ვისაც ქართული ძალოსნობის ბედ-იღბალი მოეკითხება: საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ძალოსნობაში ვლადიმერ სვეტილკო, რესპუბლიკის ნაკრების უფროსი მწვრთნელი შოთა წერეთელი, ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიის კათედრის გამგე, საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე შოთა ბუაძე, თბილისის სპორტკომიტეტის ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის დირექტორი თენგიზ ჭუბაბრია და რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი რამაზ გურგენიძე.**

**ვლადიმერ სვეტილკო:** ადრეც არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: ძალოსნობა საქართველოში მთელი ათი-თხუთმეტი წლით ჩამორჩა. დიახ, დიტო შანიძის შემდეგ დიდ სარბიელზე ჩვენი რესპუბლიკიდან არავის გამოუჩენია თავი. რამდენიმე იმედისმომცემი ძალოსანი კი გვყავდა, მაგრამ მათი ოსტატობა საერთაშორისო დონემდე ვერ ამაღლდა, საგრძნობლად დავთმეთ პოზიციები საკავშირო კომპლექსურ შეჯიბრებებსა და ჩემპიონატებში.

ჩამორჩენის მიზეზებზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, რადგან ამაზე ბევრჯერ თქმულა და დაწერილა, მაგრამ რამდენიმე ძირითად მომენტზე მაინც შევჩერდები. მოგეხსენებათ, ძალოსნობა სპორტის სპეციფიკური სახეობაა. მოზარდმა დიდი-დიდი ერთი-ორი წელი ივარჯიშოს, მერე თავს ანებებს მეცადინეობას. ამიტომაა რესპუბლიკაში ძალოსნობაში მოვარჯიშეთა საერთო რაოდენობა ხუთასს რომ არ აღემატება. დიახ, ტალანტების, ნიჭიერი ახალგაზრდობის აღმოჩენის აუცილებელი პირობა მასობრიობა გახლავთ. ჩვენს პირობებში კი, როცა საძირკველი გამაგრებული არ არის, როცა სათანადო რეზერვი არ მზადდება, რისი იმედი შეიძლება გვქონდეს? ამას ემატება მწვრთნელთა კონტინგენტის სიმცირე: საქართველოში ძალოსნობას სულ 32 შტატიანი მწვრთნელი ემსახურება, თანაც მათგან ყველა როდი მუშაობს ისე, როგორც საჭიროა.

საქმეს დიდად აფერხებს სპორტული ბაზების სიმცირეც. რესპუბლიკაში, ფაქტობრივად, დროის მოთხოვნის შესაფერისი არც ერთი ძალოსნობის დარბაზი არა გვაქვს. სპორტული ჯგუფებისთვის კი არა, რესპუბლიკის ნაკრებისთვისაც კი ჭირს ნორმალური საწვრთნელი პირობების შექმნა. თუმცა სათქმელია, რომ ძალოსნებს სავარჯიშო პირობები გაუუმჯობესდა ცხინვალში, ქუთაისში, ჯავაში, სავარჯიშო ადგილები გამოუყვეს ახალციხელ, ახალქალაქელ, ბოლნისელ, ხელვაჩაურელ ძალოსნებს, მაგრამ, ვიმეორებ, საერთო სურათი მაინც არადამაკმაყოფილებელია. რუსთავში, მაგალითად, სტადიონთან არსებული ძალოსნობის დარბაზი ფეხბურთელებმა დაიკავეს, ძალოსნებს კი გამოუყვეს ოთახი, სადაც მხოლოდ ფიზიკურ მომზადებაში თუ შეიძლება ვარჯიში. ერთი სიტყვით, პერიფერიებში ძალოსნებს არ ანებივრებენ. არადა, შევსებას სწორედ იქიდან მოველით. შედარებით უკეთესად არის საქმე ცხინვალში, საჩხერეში, ქუთაისში, გარკვეული წინსვლა იგრძნობა თბილისშიც. საქართველოს ნაკრების ღირსებას წლიდან წლამდე ძირითადად სწორედ ამ ქალაქების წარმომადგენლები იცავენ.

„კოლმეურნეში“, „განთიადში“, „ზენიტში“, „დინამოში“ და სხვა სპორტსაზოგადოებებში თითქმის არაფერი კეთდება ძალოსნობის განვითარებისთვის. ზურგი შეგვაქციეს „შრომითმა რეზერვებმა“ და „ბურევესტნიკმა“. გაცილებით მეტს ველით თბილისის სპორტკომიტეტის ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლისაგან, ჩვენ არაერთხელ დავსვით საკითხი სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატში ძალოსნობის სპეციალობის გახსნის თაობაზე, მაგრამ ჯერჯერობით შედეგს ვერ მივაღწიეთ.

აქვე ვიტყვი, რომ წლევანდელ შეჯიბრებებში მონაწილეთა უმრავლესობამ შარშანდელზე უარესი შედეგი აჩვენა, ზოგიერთ ძალოსანს აშკარად აკლია ტექნიკური, ფიზიკური მომზადება, აკლია მწვრთნელის ხელი.

რა დასამალია: სერიოზულად გვაფიქრებს მწვრთნელთა შორის შექმნილი არაჯანსაღი ურთიერთობა. კინკლაობა, „ჩემი-შენია“ ძალზე აზარალებს საერთო საქმეს. ერთი სიტყვით, ჩვენ ჯერჯერობით ვერ შევძელით მწვრთნელთა ჯანსაღი კოლექტივის შექმნა. ალბათ ამიტომაც იყო, საქართველოში აღზრდილი ბევრი სპეციალისტი თავის დროზე სხვაგან წავიდა. მოძმე სომხეთში ძალოსნობის ათობით სკოლაა გახსნილი, სოფელს ვერ ნახავთ ძალოსანთა ჯგუფი არ ჰყავდეს. იქ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში სამასამდე სპორტსმენი გამოდის, ჩვენ კი ორმოცდაათ ძალოსანს ვერ ვკრიბავთ.

**რამაზ გურგენიძე:** სამწუხაროდ, ჩვენს ენერგიას საერთო საქმეს კი არა, უფრო ერთმანეთთან კინკლაობას და ანგარიშსწორებას ვახმართ. საპასუხისმგებლო შეჯიბრების წინ საწვრთნელ შეკრებებზე მწვრთნელებს პირადი სიმპათიის მიხედვით იწვევენ, ანგარიშს არ უწევენ იმას, თუ ვინ როგორ მუშაობს, როგორი პროფესიული ცოდნა აქვს. ხდება ასეც... ნაკრებში ჩარიცხული სპორტსმენები ერთ ადგილზე „იყინებიან“ ან აუარესებენ ადრინდელ შედეგებს. ერთი სიტყვით, „ძალოსნობის მანქანა“ გამართულად ვერ მუშაობს, არ არის შექმნილი სპორტსმენთა ეტაპობრივი, მიზანმიმართული დაოსტატების მწყობრი სისტემა, ისეთი ატმოსფერო, რომელიც თითოეულ მწვრთნელს შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენის საშუალებას მისცემს.

**შოთა წერეთელი:** რამაზ გურგენიძეს ვერ დავეთანხმები. მან თქვა, რომ ნაკრებში მოსული სპორტსმენები აუარესებენ სპორტულ შედეგებს. ასეთი რამ არ მომხდარა. ვინც ნამდვილად პერსპექტიული სპორტსმენია, ის ადგილსაც იმკვიდრებს ნაკრებში და ოსტატობასაც იმაღლებს. საქმე ის არის, რომ სწორედ პერსპექტიული, კარგი მონაცემების მქონე ახალგაზრდები გვაკლია, ნაკრების მოთხოვნების შესაფერისი რეზერვი არა გვყავს. ამიტომ იძულებული ვართ გუნდის შემადგენლობაში არასაიმედო პერსპექტივის ძალოსნებიც ჩავრიცხოთ.

...ახლა ჩვენ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის ვემზადებით. სტარტამდე დიდი დრო არ დარჩა, ჩვენ კი ბევრი რამ გვაქვს გადასაწყვეტი. ნაკრების დაკომპლექტებასთან დაკავშირებულ სიძნელეებზე მოგახსენებთ. სამ-ოთხ ძალოსანს თუ აქვს სპარტაკიადაზე წარმატების მოპოვების გარკვეული შანსი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ძალოსნობაში მედლები ათ წონით კატეგორიაში თამაშდება, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ძალებით სასურველ გუნდურ ადგილს ვერ მოვიპოვებთ. დიახ, იძულებულნი ვართ ახლავე ვაღიაროთ ეს. თუ მომავალში ბავშვებს არ მოვიზიდავთ სპორტის ამ სახეობაში, თუ ახლებურად არ ვიმუშავებთ, მომავალ სპარტაკიადაზეც და სხვა შეჯიბრებებში ასეთივე სიძნელეების წინაშე აღმოვჩნდებით.

**შოთა ბუაძე:** აქ უკვე ითქვა, რომ საქართველოში სპორტის ამ სახეობის გავრცელების არეალი ერთობ შეზღუდულია. ჩამორჩენის თავი და თავი მიზეზიც სწორედ ეს არის. რამდენიმე კონკრეტულ ფაქტს მოვიტან: მთელს კახეთში ძალოსნობის ერთი ჯგუფიც კი არ არის. ასეთივე მდგომარეობაა ქართლში და დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში.

ძალზე დაბალია საქალაქო და რესპუბლიკური შეჯიბრებების ორგანიზაციული და სპორტული დონე. თბილისში დღეისათვის არ არსებობს დარბაზი, სადაც ძალოსანთა შეჯიბრების ნორმალურად ჩატარება შეიძლება. ამას წინათ მოეწყო თბილისის ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის პირველობა, რომელშიც 64 ძალოსანი მონაწილეობდა. შეჯიბრება ერთ დღეში დამთავრდა, რადგან ლენინის სახელობის დარბაზი დაკავებული იყო. ასევე ერთ დღეში დამთავრდა თბილისის პირველობა, სპორტული სკოლის ღია პირველობა, რომელშიც რაიონების წარმომადგენლებიც გამოდიოდნენ. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ შეჯიბრებები იშვიათად ტარდება. ადრე ეწყობოდა უმაღლესი სასწავლებლების, სპორტული საზოგადოებების, ფიზკულტურული კოლექტივების, თანრიგოსანი ძალოსნების, დამწყები ძალოსნების პირველობები. ყველა ეს შეჯიბრება დავიწყებას მიეცა. თუმცა, როგორ გინდა ჩაატარო შეჯიბრება, როცა ძალოსნები არა გყავს? კვალიფიციური მსაჯებიც სანთლით საძებარნი გაგვიხდნენ, იგივე შეიძლება ითქვას მწვრთნელებზე. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტში ძალოსნობის სპეციალიზაციაზე აბიტურიენტთა მიღება საერთოდ შეწყდა. კარგა ხანია არ ჩატარებულა მწვრთნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები. მეტი პრაქტიკული დახმარება უნდა აღმოვუჩინოთ იმ მწვრთნელებს, რომლებიც პერიფერიებში მუშაობენ და რომლებსაც, პირდაპირ უნდა ითქვას, გასაქანი არა აქვთ. მაგალითად, ამბროლაურში მეტად ცუდ პირობებში უხდება მუშაობა გელა სითათიშვილს, ახალციხეში — შალვა ქურდაძეს. წლების განმავლობაში ძალოსნებს საკუთარ სახლში ავარჯიშებდა ზუგდიდელი მწვრთნელი ჯუმბერ მამფორია. დარბაზი არ თბება საჩხერეში, სადაც მუშაობენ ელგუჯა დვალი და თამაზ ლაშხი... საქართველოს ნაკრები კი ამ მწვრთნელების იმედზეა. ასეთ ვითარებაში, რა გასაკვირია, მწვრთნელებმაც ჩამოუშვან ხელები. როგორ გინდა უსაყვედურო კაცს, რომელსაც მუშაობის ელემენტარული პირობები არა აქვს.

ძალოსნობას მეტი პროპაგანდა ჭირდება. ზოგიერთ მშობელს ჰგონია, რომ სპორტის ეს სახეობა ხელს უშლის ბავშვის ზრდას, საერთოდ ცუდად მოქმედებს ჯანმრთელობაზე. ეს, რა თქმა უნდა, მცდარი აზრია. სპორტულმა მეცნიერებამ კარგა ხანია დაასაბუთა, რომ ძალოსნობაში ვარჯიშს უარყოფითი შედეგი არ მოსდევს. პირიქით, მეცნიერთა რეკომენდაციით ახლა მოზარდები ადრეული ასაკიდანვე ვარჯიშობენ ძალოსნობაში და სასკოლო ასაკში უკვე საკმაოდ მაღალ სპორტულ შედეგებს აღწევენ. 1984-85 წლებში მთელი რესპუბლიკის მასშტაბით ძალოსნობის ჯგუფებში მხოლოდ 150-მდე ბავშვი იყო გაერთიანებული. ბავშვთა ძალოსნობას თუ არ მივხედეთ, ჩამორჩენას თავს ვერ დავაღწევთ.

...ახლა ისიც ვთქვათ, რას აკეთებს ძალოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია. 1980 წელს ფედერაციის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობის არჩევის შემდეგ არც ერთი (!) სხდომა არ ჩატარებულა, მე ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე ვარ, თავმჯდომარეს კი... არც ვიცნობ. ფედერაცია ჯერ კიდევ 1984 წელს უნდა გადარჩეულიყო, მაგრამ...

**თენგიზ ჭუბაბრია:** ჩვენს სპორტსკოლასთან ძალოსნობის განყოფილება 1981 წელს ჩამოყალიბდა. ამ ხნის მანძილზე რვა სპორტის ოსტატი და 20 ოსტატობის კანდიდატი აღვზარდეთ. 16 ჯგუფში 170 ბავშვია გაერთიანებული, მაგრამ ვარჯიშებზე რეგულარულად 120-130 თუ დადის. 11 მწვრთნელიდან 6 შეთავსებით მუშაობს. ურიგო სპეციალისტები არ არიან, მაგრამ ზოგიერთი მათგანი უმიზეზოდ აცდენს ვარჯიშებს, არაორგანიზებული და არაკოლეგიალურია. ერთი მწვრთნელი დავითხოვეთ კიდეც სამსახურიდან. იყო შემთხვევები, როცა 24 სპორტსმენის ნაცვლად ვარჯიშზე 10-12 თავში თუ გამოცხადდებოდა. გულახდილად გეტყვით: ადრე ასეთ ფაქტებზე თვალს ვხუჭავდით. საკუთარი დარბაზი არა გვაქვს, არენდით გავდივართ ფონს. ეს იწვევს ჯგუფების დაქსაქსვას, ძნელდება მუშაობის კოორდინაცია, ერთიანი ხელმძღვანელობა და კონტროლი. სწორედ ბაზის უქონლობის გამო გავხსენით ძალოსნობის ჯგუფები ვარკეთილის მეურნეობაში. იქ ენთუზიასტმა მწვრთნელმა ზურაბ პაპიძემ ენერგიულად მოჰკიდა საქმეს ხელი და მოკლე ხანში კარგი სპორტსმენებიც გაზარდა. ადრე ისინი რესპუბლიკურ შეჯიბრებაში ჩვენი სპორტსკოლის სახელით გამოდიოდნენ, მაგრამ დღეს ეს რატომღაც შეუძლებელი გახდა. რა გამოდის? სპორტსკოლა მწვრთნელს ხელფასს უხდის, მისი შეგირდები კი შეჯიბრებებში ვერ გამოჰყავს. კიდევ ერთ მომენტზე გავამახვილებ ყურადღებას: ბოლო დროს გახშირდა სპორტსმენთა გადაბირების შემთხვევები. კარგად მესმის, რომ თუ სპორტსმენი პერსპექტიულია და შესაბამისი კვალიფიკაციაც აქვს, ადრე თუ გვიან, უმაღლესი დაოსტატების სკოლაში უნდა ჩაირიცხოს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს დებულების დაურღვევლად და რაც მთავარია, არ უნდა დაიკარგოს პირველი მწვრთნელის შრომა. ისიც უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით საქმიანი კონტაქტები ვერ დამყარდა სპორტსკოლასა და რესპუბლიკის ნაკრების მწვრთნელებს შორის. კარგი იქნება, თუ ნაკრების მწვრთნელები მეტად დაინტერესდებიან ჩვენი საქმიანობით, პრაქტიკულ დახმარებას აღმოგვიჩენენ მუშაობაში.

ალბათ დადგა დრო, სკოლებში ძალოსნობის სპეც-კლასების გახსნაზეც ვიზრუნოთ. საქმე ის არის, რომ ჩვენ მოსამზადებელი ჯგუფები არა გვაქვს და ასეთ პირობებში ჭირს დებულების შესაბამისად დაოსტატების ჯგუფების დაკომპლექტება. მით უმეტეს, რომ ახალი სასწავლო წლიდან დებულების მოთხოვნები საგრძნობლად გაიზარდა: წესით, დაოსტატების ჯგუფები სპორტის ოსტატობის კანდიდატებით უნდა შეივსოს. ჩვენ კი ამ კვალიფიკაციის თითო-ოროლა სპორტსმენი თუ გვყავს.

...დიდი ხანი არ არის, რაც სპორტსკოლაში ვმუშაობ. გვინდა ძალოსნობა ჩვენი სკოლის ერთ-ერთი წამყვანი სახეობა გახდეს. ვიცი, რომ ჩვენს მუშაობაზე ბევრად იქნება დამოკიდებული რესპუბლიკაში ძალოსნობის რეზერვის მომზადების საქმე. ჩემი აზრით, ახლა მთავარია ყველა უბანზე — როგორც ძალოსნობის ბავშვთა ჯგუფებში, ისე რესპუბლიკის ნაკრებში — შეიქმნას გეგმაზომიერი, მიზანმიმართული მუშაობის პირობები, თითოეულმა მწვრთნელმა, თითოეულმა ხელმძღვანელმა მუშაკმა იცოდეს რა მოეთხოვება, რაზე აგებს პასუხს. თორემ რა გამოდის: ბავშვთა მწვრთნელები ამბობენ, ჩვენ კი ვზრდით პერსპექტიულ სპორტსმენებს, მაგრამ მერე „იკარგებიანო“, ნაკრების მწვრთნელები კი რეზერვის არასრულფასოვნებაზე ჩივიან.

**რედაქციისაგან: ამ რამდენიმე ხნის წინ ჩვენს გაზეთში ერთი თოთქოსდა უპრეტენზიო წერილი გამოვაქვეყნეთ ძალოსნობაზე, მაგრამ ამ წერილს გვარიანი პრეტენზია მოჰყვა; მწვრთნელებს, თურმე, ერთი სპორტსმენი ვერ „გაუყვიათ“, გვიმტკიცებდნენ გაზეთში არასწორად არის მითითებული მწვრთნელის ვინაობაო. მათ სხვებიც გამოექომაგნენ, დაიწერა ახსნა-განმარტებები, მაგრამ სიმართლე ბოლომდე მაინც ვერ დავადგინეთ. სამაგიეროდ, ერთ რამეში დავრწმუნდით: ძალოსნობის მწვრთნელებს შორის მაინცდამაინც კეთილმოსურნე ატმოსფერო არ სუფევს, კოლეგიალობისა და თანადგომის გარეშე კი საერთო საქმეს ძნელად თუ შოევლება. აი, ამიტომაც გადავწყვიტეთ კარსმომდგარი სპარტკიადის კვირაძალზე „მრგვალ მაგიდასთან“ გაგვერკვია, მაინც რაში მდგომარეობს ჩამორჩენის მიზეზები, რა უნდა გაკეთდეს ძალოსნობის აღორძინებისთვის. სამწუხაროდ, მეორე კითხვა, შეიძლება ითქვას, უპასუხოდ დარჩა. არადა, რედაქციაში სწორედ ისინი მოვიწვიეთ, ვინც უშუალოდ აგებს პასუხს სპორტის ამ სახეობაში შექმნილ ვითარებაზე, ვინც, წესით, ყველაზე კარგად და ნათლად უნდა ხედავდეს, რისი გაკეთებაა სახვალიოდ საჭირო. ზოგად მსჯელობას, კონკრეტული წინადადებები და, რაც მთავარია, კონკრეტული საქმე უნდა მოჰყვეს.**

### საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში

## ლამაზი ორთაბრძოლებით...

**მცხეთელებს** უყვართ ქართული ჭიდაობა და ფალავანთა შეჯიბრებებსაც ხალისით ესწრებიან, ამ მხრივ გამონაკლისი არც რესპუბლიკის პირადი პირველობა ყოფილა. ადგილობრივ სპორტდარბაზში შეკრებილი მაყურებლები ლამაზი და გაბედული ორთაბრძოლების მოწმენი გახდნენ. ეს იმიტომ, რომ ბევრმა რაიონმა შეჯიბრებაზე მომზადებული ფალავნები ჩამოიყვანა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თელავის, ლაგოდეხის, ხაშურის, მესტიის, გორის რაიონების, მცხეთისა და თბილისის წარმომადგენლები.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: ჯ. ცინცაძემ (ლანჩხუთი), გ. ტატიშვილმა (თელავი), მ. ბასილაურია (თბილისი), კ. ბუქლულაშვილმა (გორი), ბ. სიმონიშვილმა (მცხეთა), ა. სამარლანიშვილმა (თბილისი), ჯ. კაპანაძემ (ხაშური), გ. მუმლაძემ, თ. ყაველაშვილმა (ორივე — ლაგოდეხი).

საპრიზო ადგილებზე გასულ მოჭიდავეებს ტრადიციულად დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

**სიმონ მაისურაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XIII მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

# მექსიკა—86

# ჩემპიონობის პრეტენდენტთა მაღალი კლასი

**ბრაზილიელმა** ფეხბურთელებმა პოლონეთის ნაკრებთან მერვედფინალურ მატჩში კიდევ უფრო განიმტკიცეს მიმდინარე ჩემპიონატის ფავორიტის პოზიციები. ცხადი და ნათელია, რომ ბრაზილიელები მატჩიდან მატჩამდე სულ უფრო აძლიერებენ თამაშს, ბოლო შეხვედრებში ისინი მთელი თავით სჯობდნენ მეტოქეებს. ყოველ შემთხვევაში, პოლონეთის ნაკრებთან შეხვედრაში ასე იყო, პოლონელები კი, ნუ დაგავიწყდებათ, წინა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები არიან.

საყურადღებოა ის, რომ ბრაზილიელებს თამამად გამოჰყავთ ახალი მოთამაშეები მინდორზე, უშუალოდ ყოველი მატჩის მსვლელობის დროსაც, და ნებისმიერი ფეხბურთელის შეცვლა, თუნდაც იგი გუნდის ლიდერი იყოს, გუნდის უფროსი მწვრთნელის ტელე სანტანასთვის პრობლემა არაა. ახალი ბრაზილიელი მოთამაშეები არც გუნდის თამაშის საერთო ტაქტიკურ სქემას არღვევენ და არც ინდივიდუალური საშემსრულებლო ოსტატობით ჩამორჩებიან ერთმანეთს. რა თქმა უნდა, ახლა ბრაზილიის ნაკრები ჩემპიონობის ერთ-ერთი უპირველესი პრეტენდენტია.

ბრაზილიელებმა ეს პოლონელებთან მატჩშიც ცხადად დაამტკიცეს. თამაშის პირველი ნახევარი მათ ანგარიშით 1:0 მოიგეს, თავიანთი უმაღლესი ოსტატობა კი განსაკუთრებით შესვენების შემდეგ ცხადყვეს.

ისიც საყურადღებოა, რომ ბრაზილიელები დიდი ყურადღებით, ორგანიზებულად და კოლექტიურად თამაშობენ საკუთარი კარის სიახლოვეს, დაცვაში (ბურთი მათ 4 მატჩში ჯერ არ გაუშვიათ), მაგრამ როგორც კი იწყება შეტევა, მათი მცველები მოიერიშე ფეხბურთელთა რიგებს უერთდებიან და ამ დროს თითქმის არაფრით განსხვავდებიან ფორვარდებისგან. მაგალითად, 55-ე წუთზე მარჯვენა მცველი ჟოსიმარი სწრაფად ჩაერთო შეტევაში, დიდი სისწრაფით შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანზე, ზედიზედ გვერდი აუარა სამ მცველს და მარჯვენა ფლანგიდან უძლიერესი ბურთი გაგზავნა მეკარე მლინარჩიკის კარში. ეს გოლი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მათგან, რომლებსაც ასე ხშირად ვხედავთ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში, ასეთებს „სუპერგოლს" უწოდებენ.

პოლონელები ბევრს ეცადნენ, ბევრიც იბრძოლეს, მაგრამ ბრაზილიელთა მძლავრი შეტევების მოგერიება მათს ძალებს აღემატებოდა. მალე ედინიომ მესამე ბურთი გაიტანა, შემდეგ კი პოლონელთა საჯარიმო მოედანზე უხეშად წააქციეს ბრაზილიელი ზიკო (მან სოკრატესი შეცვალა). დასავლეთგერმანელმა არბიტრმა ფ. როტმა უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრიანი. კარეკას მიერ დარტყმულ ბურთს მლინარჩიკი თითებით მიწვდა, მაგრამ კარი ვერ გადაარჩინა — 4:0. ბრაზილიელები მეოთხედფინალში გავიდნენ, სადაც მათი მეტოქე იქნება იტალიის ან საფრანგეთის გუნდი (მათი შეხვედრა გუშინ გვიან ღამით გაიმართა).

ყველას, ვინც კი მსოფლიო ჩემპიონატს ყურადღებით ადევნებს თვალს, კარგად გვახსოვს: პროგნოზისტები გამარჯვების კანდიდატად ხშირად ასახელებდნენ ურუგვაის ნაკრებს. ბევრი მიმომხილველი და სპეციალისტიც საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ საუკეთესო ურუგვაელი ფეხბურთელები სამხრეთ ამერიკისა და ევროპის ქვეყნების სხვადასხვა პროფესიულ კლუბებში გამოდიან, მაგრამ როცა ისინი ერთად მოიყრიან თავს თავიანთი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში, ეს დიდი, ძალზე დიდი ძალაა.

თქმა არ უნდა, ურუგვაელი ფეხბურთელები მაღალი კლასის ოსტატები არიან, მაგრამ ისიც მართალია, რომ როცა მათ ერთად მოიყარეს თავი ნაკრებში, უპირველეს ყოვლისა, დაუფარავი უხეშობით, უდისციპლინობით და მსაჯებთან კინკლაობით გამოიჩინეს თავი. ცნობილია, რომ არბიტრს მინდორზე მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში შეუძლია მიმართოს მხოლოდ და მხოლოდ გუნდის კაპიტანმა. ურუგვაელი ფეხბურთელები საყოველთაოდ დადგენილ წესს არ დაგიდევენ, ყველას, ვისაც კი მოეპრიანება, დაურიდებლად სურს გაარკვიოს საქმის ვითარება არბიტრთანაც და გვერდით მსაჯებთანაც, თამაში ამის გამო ხშირად წყდება, მსაჯები იძულებული არიან სანქციებს მიმართონ, ურუგვაელები ამას თაკილობენ, იწყება ხელახალი დავა და გაწევ-გამოწევა.

და აი, მოვისვენეთ: ურუგვაელები მერვედფინალში გამოეთიშნენ მსოფლიო ჩემპიონატს. პროგნოზისტები, რომლებიც წარმატებას უქადდნენ ურუგვაის ნაკრებს, დარწმუნდნენ თავიანთ წინასწარმეტყველებათა მცდარობაში, ურუგვაელმა ფეხბურთელებმა ზემოხსენებულ უწესრიგობათა გარდა ბევრი ვერაფერი აჩვენეს მექსიკის სტადიონებზე.



მექსიკისა და ბულგარეთის გუნდების შეხვედრა. მექსიკელმა მანუელ ნეგრეტემ აკრობატულ ნახტომში გაიტანა პირველი ბურთი მეტოქის კარში.

რეიტერ-საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ურუგვაის ნაკრები მერვედფინალში დამარცხდა არგენტინის გუნდთან. საერთოდ ყველამ კარგად ვიცით, რომ სამხრეთ ამერიკის გუნდებს, განსაკუთრებით, იქაურ „გრანდებს" თავიანთი, გამორჩეული ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან. ის, რაც საერთაშორისო ფეხბურთში ხდება, ერთია, ხოლო სამხრეთ ამერიკის მინდვრებზე — სულ სხვა, აქაური სპეციფიკით განპირობებული. მაგალითად, ბრაზილიელთა დიდი წარმატებები საერთაშორისო ფეხბურთში ცნობილია, მაგრამ მაშინაც კი, როცა ისინი მსოფლიო ჩემპიონთა რანგში ჩადიან სამხრეთ ამერიკაში, იქაურ რეგიონალურ ტურნირებში ძალთა სრულიად განსხვავებული შეფარდება არსებობს. უძლიერესთა დავაში აქ ხშირად ერევიან პარაგვაი, ბოლივია, ჩილი, კოლუმბია და სხვანი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ძალზე დაძაბული და საინტერესო იყო არგენტინისა და ურუგვაის გუნდების შეხვედრა, იგი უშეღავათო ბრძოლით და, რა თქმა უნდა, უხეშობითა და წესრიგის დარღვევებით გამოირჩეოდა.

ამ უმძიმესი მატჩის ბედი 41-ე წუთზე გადაწყდა, როცა არგენტინელი პედრო პასკული პარტნიორებმა პირისპირ გაიყვანეს ურუგვაელთა მეკარე ალვესთან და პასკულიმ ზუსტად გაგზავნა ბურთი ბადეში. ამის შემდეგ მინდორზე აუწერელი ამბები ხდებოდა, იყო უხეშობაც, იყო ულამაზესი ფინტები და სწრაფი დრიბლინგიც, შესანიშნავად ითამაშა არგენტინელმა დიეგო მარადონამ, მეკარე ალვესმა მოიგერია ბურუჩაგას, პასკულის, მარადონას უაღრესად სახიფათო დარტყმები, ურუგვაელები თვითაც ხშირად უტევდნენ მეკარე ალბერტო პუმპიდუს კარს, მაგრამ საბოლოოდ პასკულის მიერ 41-ე წუთზე გატანილი ის გოლი ერთადერთი აღმოჩნდა. არგენტინელებმა გაიმარჯვეს — 1:0, მეოთხედფინალში გავიდნენ, სადაც მათი მეტოქე იქნება ინგლისისა და პარაგვაის გუნდებს შორის 18 ივნისის მატჩში გამარჯვებული.

ურუგვაელთა მისამართით კიდევ ის შეგვიძლია მოგახსენოთ, რომ ამ გაუთავებელ დარღვევათა გამო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ამ ქვეყნის ეროვნული ფედერაცია კატეგორიულად გააფრთხილა, რომ თუ მომავალშიც ასე გაგრძელდა, ურუგვაის გარიცხავენ ფიფა-ს შემადგენლობიდან.



სსრ კავშირისა და ბელგიის გუნდების მერვედფინალური მატჩის მომენტი. 11-მეტრიანი გააქვს იგორ ბელანოვს.

რეიტერ-საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

დასასრულ გვინდა გავიხსენოთ ფეხბურთის გამოჩენილ სპეციალისტთა ზოგიერთი პროგნოზი, რომლებიც ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე გამოქვეყნდა პრესაში. აი, მათი ფავორიტები:

**ბობი ჩარლტონი (ინგლისი):** ბრაზილია, არგენტინა, დანია, სსრ კავშირი.

**ზეპ პიონტეკი (დანია):** ბრაზილია, არგენტინა, საფრანგეთი, დანია.

**რიველინო (ბრაზილია):** ბრაზილია, საფრანგეთი, იტალია, დანია, სსრ კავშირი.

მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებმა, როგორც ხედავთ, გარკვეული კორექტივები შეიტანა ამ პროგნოზებში, თუმცა, ბევრი რამ ჯერჯერობით მართლდება...

## ჩემპიონატის სტატისტიკა

**მატჩი № 35. დანია — გფრ 2:0 (1:0). V ჯგუფი.** კერეტარო. 13 ივნისი. გოლები: ე. ოლსენი, ერიქსენი, მსაჯი ა. პონე (ბელგია). 25.000 მაყურებელი. გააფრთხილეს დასავლეთგერმანელი ფეხბურთელები ედერი და იაკობსი. ჯერ გააფრთხილეს, შემდეგ კი მინდვრიდან გააძევეს დანიელი ფეხბურთელი არნესენი.

**მატჩი № 36. შოტლანდია — ურუგვაი 0:0. V ჯგუფი.** ნეცაუალკოიოტლი. 13 ივნისი. მსაჯი ჟ. კინიუ (საფრანგეთი). 15.000 მაყურებელი. გააფრთხილეს შოტლანდიელი ფეხბურთელები ნერი და ნიკოლი, ურუგვაელები კაბრერა, ალავესი, დიოგო, მინდვრიდან გააძევეს ურუგვაელი ბატისტა.

**მატჩი № 37. მექსიკა — ბულგარეთი 2:0 (1:0).** მერვედფინალი. მეხიკო. 15 ივნისი. გოლები: ნეგრეტე, სერვინი. მსაჯი რ. ფილიო (ბრაზილია). 114.550 მაყურებელი. გააფრთხილეს ბულგარელი ფეხბურთელი არაბოვი.

**მატჩი № 38. სსრ კავშირი — ბელგია 3:4.** (ძირითადი დრო — 2:2). მერვედფინალი. ლეონი. 15 ივნისი. გოლები: ბელანოვი-3 (სსრ კავშირი), შიფო, კულემანსი, დელ მოლი, კლასენი. მსაჯი ე. ფრედრიქსონი (შვეცია). 20.000 მაყურებელი. გააფრთხილეს ბელგიელი ფეხბურთელი რენკინი.

## დისკვალიფიკაცია—მწვრთნელს

**ურუგვაელ** ფეხბურთელთა უდისციპლინობას ტელევიზიით ყველა კარგად ხედავს, მაგრამ უწესრიგობაში შემჩნეული არიან გუნდის ხელმძღვანელებიც. კერძოდ, ნაკრების უფროსი მწვრთნელი ომარ ბორასი ხშირად ედავება მსაჯებს, საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებს, ეკამათება კორესპონდენტებს. ყველაფერი ამის გამო ომარ ბორასი დააჯარიმეს და, გარდა ამისა, დისკვალიფიკაციაც მისცეს. არგენტინელებთან მატჩში მას უფლება არ ჰქონდა თავის გუნდთან ერთად მჯდარიყო თამაშის დროს.

მაგრამ ო. ბორასმა აქაც მოძებნა „გამოსავალი": სტადიონის ტრიბუნიდან იგი რადიოტელეფონით აძლევდა მითითებებს თავის ასისტენტებს, მექსიკის ტელევიზია ხშირად აჩვენებდა ო. ბორასს, რომელიც გაცხარებით ესაუბრებოდა თანაშემწეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იმედისმომცემი მოზარდები

## „დინამოს“ ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების საკავშირო შეჯიბრება ცურვაში

ცურვაში ქალთა გუნდი ფაქტიურად არა გვყავს. ქალები უსაშველოდ ჩამორჩებიან საკავშირო სტანდარტებს, ამიტომ მთელს იმედებს მომავალ თაობაზე ვამყარებთ, ინტერესით ვადევნებთ თვალყურს ჩვენს ნორჩ მოცურავე გოგონებს. დიახ, საქართველოს ნაკრების მძიმე მდგომარეობა იქნებ როგორმე მათ გამოასწორონ. ერთ-ერთ პერსპექტიულ მოცურავედ გვესახება 13 წლის თბილისელი მოსწავლე, მწვრთნელ იზოლდა ნათაძის აღსაზრდელი ანა ელიზბარაშვილი, რომელმაც ახლახან დონეცკში გამართულ „დინამოს“ ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების საკავშირო შეჯიბრებაში მესამე ადგილები დაიკავა 100 და 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში (შესაბამისად 1.23,0 და 2.57,5). მართალია, ელიზბარაშვილი თბილისელთა გუნდში საუკეთესო არ იყო, მაგრამ თანაგუნდელ გოგონებში აშკარად გამოირჩეოდა, განსაკუთრებით მისმა შედეგებმა დაგვაიმედა.

თბილისელთაგან ყველას აჯობა 13 წლის თემურ გუგუბერიძემ, რომელმაც 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში პირველი ადგილი დაიკავა (2.07,6). ამავე დისტანციაზე გულაღმა ცურვაში იგი მეორე იყო (2.24,3), 100 მეტრზე კი — მესამე (1.07,2).

თემური სოხუმელია, მაგრამ ხშირად თბილისში ვარჯიშობს. მას ნიკოლაი იახიოპულო ავარჯიშებს. თუ ასეთი მონდომებით გააგრძელებენ ვარჯიშს, იმედია, მომავალში შეგირდი და მისი დამრიგებელი უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევენ.

თბილისელთაგან თავი გამოიჩინეს აგრეთვე გია ბახტაძემ და ევგენი არუთიუნოვმა. ბახტაძემ, რომელსაც დედამისი, ელენე ზაქარეიშვილი ავარჯიშებს, მეორე ადგილები დაიკავა 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით (2.25,2) და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (5.03,8).

არუთიუნოვი (მწვრთნელი გარი შიხიკიანი) მესამე იყო 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში (2.26,7).

აი, ეს ოთხივე მოცურავე შეიყვანეს ნორჩ დინამოელთა საკავშირო ნაკრებში, რომელიც გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზის საკავშირო შეჯიბრებისთვის ემზადება.

გუნდურ პირველობაში თბილისელებმა მესამე ადგილი დაიკავეს (280,5 ქულა). აქ ყველას ნოვოსიბირსკელებმა აჯობეს (351). მეორე ადგილი წილად ხვდათ ოდესელებს (285).

# 6 წლის ბავშვმა მოიგო „ჟიგული“

**14 ივნისს** თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე თბილისის „დინამოსა“ და დონის როსტოვის „როსტსელმაშის“ სათასო თამაშის სანახავად 6 წლის გიორგი ჰანტურიძე მამასთან ერთად ეწვია სტადიონს. მამამ შვილს „ერთგულების ლატარიის“ ბილეთი უყიდა და მატჩის შემდეგ, როცა დიქტორმა გამოაცხადა გათამაშებული ლატარიის მოგებული ნომერი, გახარებული ბავშვი წამოხტა და ბილეთი აატრიალა. პატარა გიორგი ჰანტურიძე შინ მამასთან ერთად მოგებული „ჟიგულით“ (ვაზ 2106) დაბრუნდა.

**ჯონი ბაზერაშვილი.**

## სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. 18 ივნისი. მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „შევარდენი“-სპი (თბილისი). დასაწყისი 19 საათზე.

# ქალთა ჭადრაკის პოპულარობა დღითი დღე იზრდება

**სპორტულ ჟურნალისტთა ამქარს კიდევ ერთი ნიჭიერი ქალი შეემატა, თანაც დიდოსტატი! მართალია, ეს წოდება მას როგორც ჟურნალისტს არ დაუმსახურებია, მაგრამ იქნებ არც ის დღეა შორს. დიახ, ნანა იოსელიანმა ორიოდე დღის წინ სწორედ სპორტულ ჟურნალისტიკაში დაიცვა სადიპლომო შრომა (სხვათა შორის სადიპლომო ნაშრომის თემა იყო „ლელოს“ კრიტიკული გამოსვლების ქმედითობა“). დღეს ნანას დებიუტი აქვს სპორტულ გაზეთში (თუმცა, სტუდენტობისას რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა „ახალგაზრდა კომუნისტში“). მაშ, გზა დავულოცოთ დებიუტანტს. დიდოსტატი ქალი კუბის საერთაშორისო ტურნირის შესახებ გვიამბობს, იმ ტურნირის შესახებ, რომელშიც მან პირველი ადგილი დაიკავა.**



**ხოსე** რაულ კაპაბლანკას მემორიალი ჰავანაში წელს მეთორმეტედ მოეწყო. აღსანიშნავია, რომ წლეულს აქ, ვაჟთა ტურნირების პარალელურად, პირველად ჩატარდა ქალთა საერთაშორისო ტურნირი.

ქალთა შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირიდან ჩემთან ერთად გამოდიოდა მოსკოველი საერთაშორისო ოსტატი ლიუდმილა ზაიცევა. სულ ტურნირში ხუთი ქვეყნის თორმეტი მოჭადრაკე მონაწილეობდა. ჩვენს გარდა ფავორიტებად ითვლებოდნენ პოლონელი საერთაშორისო დიდოსტატი აგნეშკა ბრუსტმანი და რუმინელი საერთაშორისო ოსტატი დანა ნუცუ.

ტურნირი ჩემთვის იღბლიანად წარიმართა. მართალია, პირველ ტურში აგნეშკა ბრუსტმანთან მოგების შემდეგ, მეორე ტურში დანა ნუცუსთან დავმარცხდი, მაგრამ შემდეგ 9 პარტიაში მხოლოდ ნახევარი ქულა დავკარგე და 9,5 ქულით I ადგილი დავიკავე.

ტურნირში დაწესებული იყო საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივი, რომლის შესასრულებლადაც 8,5 ქულის მოგროვება იყო საჭირო. ამ მიზანთან ყველაზე ახლოს ნუცუ იდგა, რომელსაც ბოლო ორი პარტიიდან ქულანახევრის აღება სჭირდებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მან ვერ გაუძლო დაძაბულობას და საბოლოოდ 7,5 ქულით II-III ადგილები გაიყო ფინიშზე კარგად მოთამაშე უნგრელ სუზანა მაკაისთან ერთად.

ვფიქრობ, საუკეთესო სპორტულ ფორმაში არ აღმოჩნდნენ ბრუსტმანი და ზაიცევა. პოლონელმა დიდოსტატმა საბოლოოდ IV-V ადგილები გაიყო, ზაიცევამ კი VI-VII.

ტურნირში შვიდი კუბელი მოჭადრაკე გამოდიოდა. მათ შორის ჩემზე ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს საერთაშორისო ოსტატმა რამონმა (მან IV ადგილი დაიკავა) და ალესა ღეარმასმა. ალესამ აშკარად გააუმჯობესა თამაში შარშანდელი საზონათშორისო ტურნირის შემდეგ.

აქვე აღვნიშნავ, რომ უკანასკნელ წლებში ქალთა ჭადრაკი მეტად პოპულარული გახდა კუბაში. ამას ალბათ ხელი შეუწყო შარშან ჰავანაში გამართულმა ქალთა სა[illegible] ზონათშორისო ტურნირმა. პრესაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ამ ფესტივალს, არც მაყურებელი მოგვაკლებია.

როგორც მოგახსენეთ, ქალთა ტურნირის პარალელურად ფესტივალის პროგრამაში ვაჟთა რამდენიმე ტურნირიც იყო, პირველში გამარჯვება ორმა მოჭადრაკემ გაიყო — არგენტინელმა გარსია პალერმომ და პერუელმა გრანდამ 13-13 შესაძლებლიდან 9-9 ქულა მოაგროვეს. 8,5 ქულით მესამე იყო ევგენი ვლადიმიროვი. როგორც იცით, ვლადიმიროვი გარი კასპაროვის ერთ-ერთი მწვრთნელია. სხვათა შორის, მას ერთი ქულა დააკლდა დიდოსტატის პირველ ბალამდე. გრანდამ კი ამ ტურნირში მეორე ბალი შეასრულა. კიდევ ერთი საბჭოთა მოჭადრაკე ვიაჩესლავ ეინგორნი 7 ქულით მეექვსე იყო.

მეორე ტურნირშიც ორმა მოჭადრაკემ გაიყო გამარჯვება — ევგენი პიგუსევმა და უნგრელმა პეტერ ლუკაჩმა 12-12 პარტიიდან 9-9 ქულა მოაგროვეს და დიდოსტატის მეორე ბალიც შეასრულეს.

და ბოლოს, ჩემი მომავალი გეგმების შესახებ მოგახსენებთ. ახლა ვისვენებ, ორიოდ დღეში კი ბორჯომში ჩავალ და ხალხთა სპარტაკიადისთვის იქ მოვემზადები. სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის ქალთა გუნდი მხოლოდ მაღალი ადგილებისთვის იბრძოლებს.

**ნანა იოსელიანი.**

### სპორტი და ლიტერატურის კლასიკოსები

# ქალაქის მერი—გულშემატკივარი

**ერნესტ** ჰემინგუეის ერთ-ერთი ადრინდელი რეპორტაჟი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, გამოქვეყნდა კანადის გაზეთ „ტორონტო სთარ უიკლიში“ 1920 წლის 13 მარტს. პუბლიკაცია წარმოდგენას გვიქმნის ჩრდილოამერიკული ქვეყნის მაშინდელი სპორტული ცხოვრების ზოგიერთ სატირულ მხარეზე.

• • •

ქალაქის მერი ყველა სპორტულ პაექრობათა მგზნებარე გულშემატკივარია. განსაკუთრებით გატაცებულია კრივით, ჰოკეითა და სპორტის სხვა, მამაკაცური სახეობებით. ნებისმიერი სპორტული მოვლენა, რომელიც კი ამომრჩეველ-მაყურებელთა აუდიტორიას ჰკრებს, მისი მოწყალების დიდი მფარველობით სარგებლობს. სრულსაკოვან მოქალაქეებს ვირობანა ან დაჭერობანა რომ ეთამაშათ, ეჭვი ნუ შეგეპარებათ, მერი არც ამ თამაშებს დააკლდებოდა.

გუშინ საღამოს მე და მერი ერთად დავესწარით ტორონტოს მასეი-ჰოლში გამართულ მოკრივეთა შეხვედრას. არა, ნუ იფიქრებთ, თითქოს, ერთად გაგვეწიოს იქითკენ. დიახ, ცალ-ცალკე მივედით, მაგრამ ერთ დარბაზში კი აღმოვჩნდით.

ერთობ სასეირო რამ იყო მერის გამოჩენა. დიდხანს არ ჯდებოდა და აქეთ-იქით თავის დაკვრით ესალმებოდა ნაცნობებს.

—ეს ვინღაა? — მკითხა ჩემს გვერდით მოკალათებულმა მამაკაცმა.

— ქალაქის მერია, — ვუპასუხე.

— ჰეი, შენ მანდ, დაჯექი! — ამოიღრიალა მეზობელმა.

მერი აშკარად აღტაცებული იყო მატჩით. ისე ენერგიულად და ხალისით ართმევდა ხელს ირგვლივ მყოფთ, რომ არც კი გაუგონია გონგის ხმა, რომელმაც პირველი რაუნდის დამთავრება გვაუწყა.

შესვენებისას მერი წამოიმართა და ხალხს დაუწყო თვალიერება.

— რას აკეთებს? — მკითხა მეზობელმა. — ითვლის, რამდენი ეტევა დარბაზში?

— რას ამბობთ?!... იგი, უბრალოდ საშუალებას აძლევს სპორტის მოყვარულთ დასტკბნენ თავიანთი გულშემატკივარი მერის ცქერით — მივუგე.

— ჰეი, შენ მანდ, დაჯექი! — გაბრაზებულმა მიაძახა ჩემმა მეზობელმა.

მომდევნო ორი რაუნდის დროს მერმა, როგორც იქნა, იცნო რამდენიმე ახლობელი ადამიანი და მათ დიდხანს უქნევდა ხელს. მერე ხელი ჩამოართვა ყველა ჯარისკაცს, თან ზოგიერთი, ყოველი შემთხვევისათვის, ერთი-ორჯერ მაგრადაც შეაჯანჯღარა.

ამასობაში, სკოტი ლასნერს შავი დღე დაადგა რინგზე. მერს საშუალება არ ჰქონდა თვალ-ყური ედევნებინა ორთაბრძოლისთვის, მაგრამ ტაშს სხვებთან ერთად მაგრად კი ურტყამდა.

მერე ხელმარჯვნივ მჯდომი მეზობლისკენ შებრუნდა:

— ლასნერი შუაზე გახევს, არა?

მეზობელმა სიბრალულით შეხედა.

— მუდამ მჯეროდა, რომ ლასნერი დიდებულად ჩხუბობს, — კმაყოფილებით დაასკვნა მერმა და კვლავ ადგილზე აცქმუტდა. ალბათ, კიდევ ვილაცეებს დაეძებდა, იქნებ ხელი ჩამოვართვაო!

ორთაბრძოლა დასრულდა. რეფერი მსაჯებს მოეთათბირა და ლასნერის მეტოქის ხელი ზე აღმართა. მერი წამოდგა.

— ძალიან გამახარა ლასნერის გამარჯვებამ! — შესძახა.

— ნუთუ მართლა ქალაქის მერია? — მკითხა მეზობელმა.

— ეს კაცი მისი მოწყალება მერი-გულშემატკივარი გახლავთ! — ვუპასუხე.

— ჰეი, შენ მანდ, აღარ დაჯდები, ბოლოს და ბოლოს? — აღრიალდა ჩემი მეზობელი.

ბოლო ბრძოლამ მერზე განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. მართალია, არაფერი დაუნახავს, მაგრამ, სამაგიეროდ მოძებნა რამდენიმე ისეთი კაცი, ვისთვისაც ხელი ჯერ კიდევ არ ჩამოერთმია. დარბაზი შეშლილივით უსტვენდა და ტაშს უკრავდა. დრო და დრო მერიც უსტვენდა, ოღონდ ზუსტად მაშინ, დარბაზი მოწონების ოვაციას რომ მართავდა.

მატჩის ბოლოს მერი რიტმიდან ამოვარდა. ესღა წარმოთქვა: „კრება დამთავრებულია!“ — წამოხტა და თავისი მანქანისკენ გაექანა. ალბათ ეგონა, მუნიციპალური საბჭოს სხდომაზე ვიმყოფებიო.

ჰოკეი მერს კრივზე ნაკლებად როდი აინტერესებს. მის ამომრჩევლებს რწყილების ბრძოლა ან ავსტრალიური ბუმერანგის ტყორცნა რომ მოეწყოთ, მერი აქაც ნამდვილად მაყურებელთა პირველ რიგებში აღმოჩნდებოდა... იმიტომ, რომ მას გულწრფელად უყვარს სპორტის ყველა სახეობა.

ინგლისურიდან თარგმნა **ვასილ მეძღლიშვილმა.**

## ინფორმაცია

**ლონდონი.** უიმბლდონის ტურნირის წინ ინგლისში ჩოგბურთელთა ტრადიციული შეჯიბრებები ტარდება. ერთ ასეთ შეჯიბრებაში ლვოველმა ლარისა სავჩენკომ მეოთხე ადგილი დაიკავა. მერე იგი ისტბორნის ტურნირში ჩაება, სადაც პირველი წრის შეხვედრაში აშშ-ს წარმომადგენელი კეტი რინალდო დაამარცხა — 6:2, 6:2. საინტერესოა აღინიშნოს, რომ უიმბლდონის ასპარეზობაში რინალდოს მეშვიდე ნომერი აქვეა მიკუთვნებული. წარმატებით დაიწყო ტურნირი მოსკოველმა სვეტლანა პარხომენკომაც — დაამარცხა კაროლინ კულმანი (აშშ) — 6:3, 6:4.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია.** 18 ივნისი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: იტალია — საფრანგეთი (მეორე ტაიმი) — **9.55 (1)**; მაროკო — გფრ (მეორე ტაიმი) — **10.40 (1)**; მაროკო — გფრ — **18.30 (1)**; ინგლისი — პარაგვაი — **23.00 (1)**; მსოფლიო ჩემპიონატის დღიური — **23.40 (1)**.

**საქართველოს ტელევიზია.** 18 ივნისი. მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: იტალია — საფრანგეთი — **9.55**; მაროკო — გფრ — **10.40**; მაროკო — გფრ — **18.30**; ინგლისი — პარაგვაი **23.00**; მსოფლიო ჩემპიონატის დღიური — **23.40**; საქართველოს საფეხბურთო პირველობაზე — **17.10**.

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**

თბილისის სპორტის სასახლე გიწვევთ აერობიკის, ათლეტური ტანვარჯიშის, მაგიდის ჩოგბურთის, მინი ფეხბურთის, ტრენაჟერო და საერთო ფიზიკური მომზადების საბონემენტო ჯგუფებში საშუალოდ 7 საათიდან 21 საათამდე.

სამამულო ომის მონაწილეთათვის მეცადინეობა უფასოა. ცნობებისთვის მოგვმართეთ ტელეფონით 36-22-03, 10 საათიდან 17 საათამდე.

**დირექცია.**

**იუმორი**



იური უეინაშვილისა და ვახტანგ კუციას ნახატები.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო“

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

**ჩვენი ინდექსი:**
68435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07502